




საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 56
 29/07/2016

56-07-4-201607291742



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №56

2016 წლის 29 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე
 ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N23 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. მიენიჭოს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, თამარ ჩხაიძის საკუთრებაში არსებულ ობიექტს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N27.05.44.010) ანა კალანდაძის ქ. N3ა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო